VIII. სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა

მშენებლობის ხანგრძლივობა – 10 თვე

№	სამუშაოთა დასახელება	სამუშ. ხანგრძ. (თვე)	სამუშაოთა წარმოების გრაფიკი									
			თვეები									
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1	მოსამზადებელი სამუშაოები		1									
2	მიწის სამუშაოები	1		1								
3	საძირკვლების მოწყობა	1			1							
4	ლითონის სვეტის მოწყობა	1				1						
5	ლითონის გადახურვის კონსტრუქციის მოწყობა	2					2					
6	სახურავის მოწყობა	2.5						2.5				
7	კედლების მოწყობა	2.5						2.5				
8	ვიტრაჟების და კარებების მოწყობა	1.5							1.5			
9	საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობა	2							2			
10	შიგა და გარე მოპირკეთება	2.5								2.5		
11	იატაკების მოწყობა	2									2	
12	გარე კეთილმოწყობა	1										1


ს ა მ შ ე ნ ე ბ ლ ო გ ე ნ გ ე გ მ ა
მ1:500

პირობითი ალნიშვნები:

- საპროექტო მაღაზია
- არსებული შენობები
- დროებითი შენობა-ნაგებობები
- ღია სასაწყობო მოედანი
- დროებითი ღობე
- დროებითი დახურული გასასვლელი
- ამწის სვლის ღერძი
- საავტომობილო ამწე
- ამწის კიდურა მუშა დგომი
- არსებული ღობე

შენიშვნები:

1. წინამდებარე ნახაზი „მო-1“ იხილეთ განმარტებით ბარათთან ერთად.
2. წინამდებარე სამშენებლო გენგეგმა დამუშავებულია მაღაზიის მიწისზედა ნაწილის მშენებლობის პერიოდისათვის.
3. მაღაზიის შენობის სამშენებლო სამუშაოები წარმოებს საავტომობილო ამწის სმკ-10-ის საშუალებით, ტვირთამწეობით 10 ტნ.
4. ყველა სამშენებლო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ- III-4-80*-ის თანახმად.



ქ.თბილისი. 0108, გ.ახვლედიანის ქ. №11/14 E-mail:studia_sami@caucasus.net შპს თბილქალაქპროექტი-სტუდია 3			ქ. თბილისში, მიქელაძის ქუჩაზე, სუპერმარკეტის ყინ (ნაკვეთი 23/071) მაღაზიის მშენებლობის პროექტი		
დირექტორი		ხ. ხურაბაშვილი	მშენებლობის ორგანიზაცია	დაკვეთა	18/2013
დაამუშავა		ტ. სტურუა	სამშენებლო გენგეგმა	სტადია	
				ფურც.	მო-1
				რაოდენ.	1
				მასშტაბი	1:500

შპს თბილქალაქპროექტი - სტუდია 3
TBILKALAKPROEKTI-STUDIA 3 Ltd

ქ.თბილისი. 0108, გ. ახვლედიანის ქ. №11/14
11/14 G. Achvlediani str. 0108, Tbilisi.Georgia
ტელ. +995 32 2 935 526
Phone: +995 32 2 952 922
Fax: +995 32 2 956 497
E-mail: studia_sami@caucasus. net

დაკვეთა: 18/2013

ქ. თბილისში, მიქელაძის ქუჩაზე, სუპერმარკეტის წინ (ნაკვეთი 23/071) მაღაზიის მშენებლობის პროექტი

მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა

დირექტორი ზ. ზურაბაშვილი

მთ.სპეციალისტი ტ. სტურუა

ქ. თბილისი 2013 წ.

პროექტის შემადგენლობა

ა) განმარტებითი ბარათი

I. შესავალი
II. მშენებლობის დახასიათება
III. მშენებლობის ხანგრძლივობა
IV. მშენებლობის რიგობრიობა
V. ძირითადი სამუშაოების წარმოების მეთოდები
VI. საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი
VII. უსაფრთხოების ტექნიკა
VIII. სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა

ბ) გრაფიკული ნაწილი

1. ნახაზი „მო-1“ - „სამშენებლო გენგეგმა“

ა) განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

ქ. თბილისში, მიქელაძის ქუჩაზე, სუპერმარკეტის წინ, მაღაზიის მშენებლობის პროექტი დამუშავებულია შპს „თბილქალაქპროექტი-სტუდია 3“-ის მიერ, დამკვეთისაგან მიღებული საპროექტო დავალების საფუძველზე.

მაღაზიის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია პროექტის მასალებისა და შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:

1. **სნდა** 3.01.01.-85* - „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“.
2. **სნდა** 1.04.03-85 - „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“.
3. **სნდა** III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“.
4. **სნდა** 3.02.01-87 - „მიწის ნაგებობები, ფუძეები და საძირკვლები“.

მშენებლობის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს სამუშაოთა წარმოების პროექტი.

II. მშენებლობის დახასიათება

მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, მიქელაძის ქუჩაზე, სუპერმარკეტის წინ (ნაკვეთი 23/071).

ტერიტორია ხასიათდება სწორი რელიეფით. თავისუფალია განაშენიანებისაგან. სამხრეთის ტერიტორიას ემიჯნება სპორტული მოედნები, დასავლეთიდან - 4 სართულიანი არსებული სახლი.

ტერიტორიაზე განლაგებულია თიხნარი გრუნტი – III კატეგორია და ნაყარი – II კატეგორია.

საძირკვლის ფუძედ მიღებულია თიხნარი.

ნაკვეთის სეისმურობა სეისმურობა არის 8 ბალი.

საპროექტო შენობა არის ერთსართულიანი, მართკუთხა ფორმის, ზომებით ღერძებში 10.7X19.35 მ. შენობის მაქსიმალური სიმაღლე – 4.03 მ, საერთო ფართი – 196 მ^2, სამშენებლო მოცულობა – 884 მ^3.

საძირკვლები – მონოლითური რკ.ბეტონის, წერტილოვანი და ლენტური;
სვეტები – ლითონის კონსტრუქციების;
რიგელები – ლითონის კონსტრუქციების;
კოჭები - ლითონის კონსტრუქციების;
სახურავის გრძივები - ლითონის კონსტრუქციების;
კედლები – ასაწყობი სენდვიჩ-პანელებისაგან;
სახურავი – ბრტყელი, ლითონის გრძივებზე ასაწყობი სენდვიჩ-პანელებისაგან.

III. მშენებლობის ხანგრძლივობა

მაღაზიის მშენებლობის ხანგრძლივობა განსაზღვრულია **სნდა** – 1.04.03-85 „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“-ს საფუძველზე, დამკვეთის მიერ გასაწევი კაპიტალდაბანდების მოცულობის შესაბამისად და შეადგენს 10 თვეს, აქედან მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა არის 1 თვე.

ცალკეულ სამშენებლო სამუშაოთა ხანგრძლივობები მოცემულია „სამუშაოთა წარმოების კალენდარულ გეგმა“-ში.

IV. მშენებლობის რიგობრიობა

მაღაზიის მშენებლობა წარმოებს ორ რიგად:

I რიგი – მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები.

II რიგი – ძირითადი პერიოდის სამუშაოები.

მოსამზადებელ პერიოდში ხორციელდება შემდეგი სამუშაოები: 1) ნაკვეთის გამო-ყოფა ნატურაში, 2) დაკვალვის სამუშაოები, 3) სამშენებლო ნაკვეთის შემოღობვა დროებითი ღობით, 4) დროებითი შენობა-ნაგებობების მოწყობა, 5) დროებითი ელ. მომარაგების მოწყობა, 6) დროებითი წყალგაყვანილობის მოწყობა, 7) დროებითი სასაწყობო მოედნების მოწყობა, 8) უსაფრთხოების ნიშნების, მაჩვენებლების და სიგნალების მოწყობა.

ძირითად პერიოდში ხორციელდება მაღაზიის შენობის სამშენებლო სამუშაოები შემდეგ ეტაპებად:

I ეტაპი – მიწის სამუშაოები
II ეტაპი – საძირკვლების მოწყობა
III ეტაპი – ლითონის სვეტების მოწყობა
IV ეტაპი – ლითონის გადახურვის კონსტრუქციების მოწყობა
V ეტაპი – სახურავის მოწყობა სენდვიჩ-პანელებისაგან
VI ეტაპი – კედლების მოწყობა სენდვიჩ-პანელებისაგან
VII ეტაპი – ვიტრაჟების და კარებების მოწყობა
VIII ეტაპი – საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობა
IX ეტაპი – შიდა და გარე მოპირკეთების სამუშაოები
X ეტაპი – იატაკების მოწყობა

სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიური თანმიმდევრობა მოცემულია „სამუშაოთა წარმოების კალენდარულ გეგმა“-ში.

V. ძირითადი სამუშაოების წარმოების მეთოდები

მიწის სამუშაოები:

ქვაბულის დამუშავება ხორციელდება ექსკავატორით „უკუჩამჩა“, ჩამჩის ტევადობით 0.5 მ^3. ძირის მოსწორება-ხელით.

ქვაბულის დამუშავება ხდება ფერდოებით, რომელთა დახრა უნდა შეესაბამებოდეს სნდაწ-III-4-80*-ის მოთხოვნებს. ფერდოებით დამუშავების შეუძლებლობის შემთხვევაში ქვაბული დამუშავდება ვერტიკალური კედლებით, ინვენტარული სამაგრების მოწყობით.

გრუნტის უკუჩაყრა – ბულდოზერით და ხელით.

გრუნტის დატკეპნა ხელით ელექტრომტკეპნავებით.

ზედმეტი გრუნტის გატანა ხორციელდება ავტოთვითმცლელებით.

მიწის სამუშაოები წარმოებს სნდაწ 3.02.01.-87-ის და სნდაწ - III-4-80*-ის მოთხოვნების თანახმად.

ბ) სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები:

შენობის მოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ხორციელდება საავტომობილო ამწის სმკ-10-ის საშუალებით, ტვირთამწეობით 10 ტნ.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისას ამწე მოძრაობს შენობის გარეთა მხრიდან, „ა“ ღერძის გასწვრივ, მიბმით შენობასთან – 4.0 მეტრზე.

მუშაობის დროს ამწეს აქვს ისრის მოტრიალების ორი შეზღუდვა (იხილეთ სამშენებლო გენგეგმა).

მშენებარე მაღაზიის სიახლოვეს მდებარე 4 სართულიანი შენობის გასწვრივ („5“ ღერძის მხარეს) ეწყობა დროებითი დახურული გასასვლელი ფეხით მოსიარულეთათვის.

სამუშაოთა წარმოების პროექტში დეტალურად დამუშავდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მეთოდები.

ყველა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო შესრულდეს სნდაწ-III-4-80*-ის მოთხოვნების თანახმად.

VI. საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

მშენებლობის განსახორციელებლად საჭიროა შემდეგი მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი:

1.	ექსკავატორი „უკუჩამჩა“, ტევადობით 0.5 მ³	- 1 ც
2.	ბულდოზერი	- 1 ც
3.	საავტომობილო ამწე -სმკ-10	- 1 ც
4.	ავტოთვითმცლელები	- 2 ც
5.	ბორტული მანქანები	- 1 ც
6.	ბეტონმიქსერი	- 1 ც
7.	ავტობეტონპომპა	- 1 ც
8.	მცირე მექანიზაციის საშუალებები	- 1 კომპლექტი

VII. უსაფრთხოების ტექნიკა

ყველა სამშენებლო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ–III-4–80*-ის „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“-ს მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

სამუშაოთა წარმოების პროექტში დამუშავდეს უსაფრთხოების ტექნიკის და სახანძრო უსაფრთხოების კონკრეტული ღონისძიებები.

სამუშაოთა წარმოების პროექტში განისაზღვროს სახიფათო ზონის საზღვარი, რომელიც უნდა შემოიღობოს დროებითი ღობით და აღინიშნოს კარგად დასანახი ნიშნებით და სიგნალებით.

აკრძალულია უცხო პირთა ყოფნა სახიფათო ზონის საზღვრებში.

აკრძალულია მანქანა-მექანიზმების მუშაობა უშუალოდ ელექტროგადამცემი ხაზების ქვეშ.

ელ. გადამცემი ხაზების სიახლოვეს მანქანა-მექანიზმების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ დამშვები-განწესის საფუძველზე.

საავტომობილო ამწეს აქვს სამონტაჟო ისრის მოტრიალების ორი შეზღუდვა (იხილეთ „სამშენებლო გენგეგმა“)